

1. კომპანია და მისი ოპერაციები:

შპს „ღია გული“ საიდენტიფიკაციო კოდი №204970022 (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2001 წელს და მდებარეობს საქართველოში. „კლინიკა“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

2002 წლის ივნისის თვიდან კლინიკამ დაიწყო ფუნქციონირება. კლინიკაში 2020 წლის თებერვლითვემდე ფუნქციონირებდა:

1. ამბულატორიული განყოფილება, სადაც ხორციელდება პაციენტების ამბულატორიული დიაგნოსტიკა და ლაბორატორიული კვლევები;
2. კლინიკური განყოფილება;
3. ინტენსიური თერაპიის განყოფილება;
4. ორი საოპერაციო ბლოკი.

კარდიოქირურგიული კლინიკა „ღია გული“ წარმოადგენს პირველ მაღალტექნოლოგიურ კლინიკას საქართველოში, სადაც 2002 წლიდან ტარდება ყველა სახის კარდიოქირურგიული ოპერაციები, ხოლო ანგიოგრაფიულ ლაბორატორიაში ჩასატარებელი პროცედურების სახეებია: კორონაროგრაფია და ანგიოპლასტიკა.

2020 წლის თებერვლის თვიდან კლინიკაში ფუნქციონირებს მხოლოდ ამბულატორიული განყოფილება, სადაც ხორციელდება პაციენტების ამბულატორიული დიაგნოსტიკა, ლაბორატორიული კვლევები და შესაბამისად ექიმის კონსულტაციები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰყავს სამი დამფუძნებელი. დავით ხაზარაძე - გენერალური დირექტორი და 65%-იანი წილის მფლობელი; დავით მიქელთაძე - აღმასრულებელი დირექტორი და 25%-იანი წილის მფლობელი და სულხან ლომინაძე - 10%-იანი წილის მფლობელი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20,000.00 ათას ეროვნულ ლარს.

(ა) „კომპანიის“ ძირითადი საქმიანობა: კომპანია არის კერძო მფლობელობაში მყოფი კლინიკა და წარმოადგენს პირველ მაღალტექნოლოგიურ კლინიკას საქართველოში, სადაც 2002 წლიდან ტარდებოდა ყველა სახის კარდიოქირურგიული ოპერაციები 2020 წლის თებერვლის თვემდე. 2020 წლის თებერვლის თვემდე ტარდებოდა აგრეთვე ანგიოგრაფიულ ლაბორატორიაში ჩასატარებელი პროცედურები, რომლის სახეებია: კორონაროგრაფია და ანგიოპლასტიკა.

2020 წლის თებერვლის თვიდან კლინიკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მხოლოდ ამბულატორიული განყოფილება, სადაც ხორციელდება პაციენტების ამბულატორიული დიაგნოსტიკა, ლაბორატორიული კვლევები და ექიმის კონსულტაციები.

„კომპანია“ ბიზნეს საქმიანობას საქართველოში ეწევა.

(ბ) „კომპანიის“ სამუშაო გარემო: უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის 13 მაისს, საგადასახადო კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებამ, მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით და ძალაშია 2017 წლის 01

იანვრიდან), რომლის მთავარ, „მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს“ წარმოადგენს განაწილებული მოგება და არა მიმდინარე პერიოდის მოგება, საშუალება მისცა კომპანიებს მოგების გადასახადის თანხა გამოიყენონ ბიზნესის განვითარებისათვის

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12522	11081	42301
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	562593	370159	208602
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0	0
მარაგები	57754	60617	60383
მზა პროდუქცია	57754	0	0
სხვა	0	60617	60383
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	776	913
ძირითადი საშუალებები	468675	536135	669213
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	377971	421636	428225
	147951	140040	140963
სულ აქტივები	5	4	7
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	42503	21586	10669
ანარიცხები	0	0	0
	185683	157852	132902
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6	7	1
საგადასახადო ვალდებულებები	495079	431604	345067
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	90686	90686	90686
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
	248510	212240	177544
სულ ვალდებულებები	4	3	3
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	20000	20000	20000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	102558		
	9	-741999	-385806
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
	-		
	100558		
სულ საკუთარი კაპიტალი	9	-721999	-365806
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	147951	140040	140963
	5	4	7
სულ მოკლევადიანი აქტივები	562593	370159	208602
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ერთეული - ლარი

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	844205	694295
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	721328	571801
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	122877	122494
გაყიდვების თვითღირებულება	0	-12718
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	844205	681577
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0

დასაქმებულთა ანაზღაურება	-942630	-853306
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-107227	-130994
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-14160	-14160
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-63778	-49489
სულ საოპერაციო ხარჯები	-1127795	-1047949
საოპერაციო მოგება	-283590	-366372
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	-142
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-283590	-366514
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-283590	-366514
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-283590	-366514
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-721999	-365806
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	10321
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-1005589	-721999
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1441	-31078
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1441	-31078
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	-142
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11081	42301
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12522	11081

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2. მომზადების საფუძველი:

(ა) წარდგენის და აღრიცხვის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

(ბ) სამუშაო და ანგარიშების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კლინიკის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა მუხლზე.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიცირებულია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

აქტივები და ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც „კომპანია“ ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

გაცვლითი კურსები:	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი ლართან მიმართებაში		
	აშშ დოლარი	ევრო	

გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს.	2.6894	2.9753	
საშუალო გაცვლითი კურსი 2024 წლის 01 იანვარს	2.6894	2.9753	
დასრულებული წლისათვის 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306	

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში. ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელზეც განხორციელდა ასეთი ტიპის ჩანაცვლება.

ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით (სსკ).

ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი ჩამოწერის (როდესაც აღარ ექვემდებარება აღდგენას) და ჯართად გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალებები:

საწყისი ნაშთი (01/01/2024) ---536,135.00 ლარი;

შეძენა 2024 წელი----- 39,767.00 ლარი;

ჩამოწერა 2024 წელი ----- 0.00 ლარი;

ცვეთა 2024 წელი ----- 107,227.00 ლარი;

სულ ნაშთი (31/12/2024) -----468,675.00 ლარი.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით (სსკ). 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ნაშთი შეადგენს - 660.00 ლარს.

გრძელვადიანი ვალდებულებები და სესხები

როგორც მოგეხსენებათ, „ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულების შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №309 განკარგულების საფუძველზე, იმ სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რომელთა მიმართ სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ წარმოქმნილი აქვს კრედიტორული დავალიანება, სამედიცინო მომსახურების უწყვეტად მიწოდების უზრუნველსაყოფად, სპეციალური პროგრამის (პროგრამის კოდი 35 03 06) ფარგლებში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან განხორციელდა 5,0 მლნ ლარის გამოყოფა. აღნიშნული განკარგულების ფარგლებში, სამედიცინო დაწესებულებასთან, ანუ შპს „ღია გულთან“ (ს/კ №204970022) 2014 წლის 18 ივნისს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით №3/350306/24 გამოეყო სესხის თანხა - 90,686.00 (ოთხმოცდაათი ათას ექვსას ოთხმოცდაექვსი) ლარის ოდენობით.

2014 წლის 18 ივნისს გაფორმებული სასესიო ხელშეკრულებით №3/350306/24 --სესიის თანხა	ვალუტა	თანხა (ლარი)
1) სესიის თანხა	0	90,686.00

ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების ფორმულირებისათვის კომპანია იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ისტორიული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

1. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხები.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლების შენატანის რეალური ღირებულებით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითაც შეადგენს 20,000.00 (ოცი ათას) ლარს.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. კლინიკაში დივიდენდები გაცემულია 2016 წლის ჩათვლით. 2017 წლიდან დივიდენდები აღარ გაიცემა კლინიკის „ესტონურ მოდელზე“ გადასვლის გამო.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სრულად ან არსებითად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი/(სარგებელი) მოიცავდა მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებოდა წლის მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი აღიარება ხდებოდა სხვა სრულ შემოსავალში, ან პირდაპირ კაპიტალში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის მიხედვით, კომპანიებს (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებაზე, თუ ეს მოგება არ განაწილდა ან ჩაითვალა განაწილებულად დივიდენდის სახით.

ფიზიკურ პირებზე, ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხორციელდებოდა 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-ნი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0,85-ზე).

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით აგროსილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

კლინიკა კანონის ამოქმედების დღიდან გადასულია „ესტონურ მოდელზე“ და დივიდენდების გაცემა ამ პერიოდზე არ ხორციელდება, ხოლო ძველი პერიოდის გაიცა სსკ-ს შესაბამისად და ასახულია საგადასახადო დეკლარაციებში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხორციელდება სსკ-ს მიხედვით, დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს აღრიცხვის, დარიცხვის პრინციპს.

ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია შემოსავალს აღიარებს, როდესაც ასახავს პაციენტებისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევას ისეთი თანხით (კალკულაციიდან გამომდინარე-დარიცხვის მეთოდით), რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც კომპანია ვარაუდობს ამ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განხორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები, ანუ ფაქტიურად განხორციელებულ შემთხვევებში.

იჯარა

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1441	-31,078
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	1441	-31,078
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა		-142

და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11081	42,301
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12522	11,081

1. სავაჭრო მოთხოვნები (940,414 ლარი) და გრელვადიანი აქტივები(377,971)
(940,414+377,971)

სავაჭრო მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	2024	2023
გადაუხდელი ფიზიკური პირებისგან	61,010.11	61,010.11
გადაუხდელი რეფერალური დახმარების სახელმწიფო პროგრამიდან	54,810	54,960
სადაზღვევოდან არქიმედე	305,815	305,815
საყოველთაო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა	17,345	17,345
მე-5 კლინიკური საავადმყოფო	497,722	351,533
მერიები, გამგეობები, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო	2,694	1,132
თიბისი დაზღვევა	1,018	
სულ ჯამი:	940,414	791,795

2. მარაგები.

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
მედიკამენტები	6,290	8,997
სათადარიგო ნაწილები	30,100	29,085
სამეურნეო საქონელი	21,364	22,535
სულ	57,754	60,617

3. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივში არის საბუღალტრო პროგრამა 660.00 ლარის ღირებულებით.

4. ძირითადი საშუალებები

დასახელება	წელი	თანხა
ძირითადი საშუალებები	31.12.2023	536,135
ძირითადი საშუალებების შეძენა 2024 წელს	31.12.2024	39,767
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	31.12.2024	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა 2024 წელს	31.12.2024	-107,227
სულ ნარჩენი		468,675

5. სხვა გრძელვადიანი აქტივები 2024 წლის ბოლოს შეადგენს - 377,971 ლარს.

6. სავაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2024	31.12.2023	
სხვადასხვა მომწოდებლები მედიკამენტებზე	1,530	2,665	
სხვადასხვა მომწოდებლები სამედიცინო მომსახურებაზე	40,973	18,921	
სულ	42,503	21,586	

7. ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

კლინიკის თანამშრომელთა დარიცხული სახელფასო დავალიანება

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
კლინიკის თანამშრომელთა დარიცხული სახელფასო დავალიანება	1,856,836	1,578,527

8. საგადასახადო ვალდებულებები

ამ მუხლში აღრიცხული არის, კლინიკის თანამშრომლებზე დარიცხული სახელფასო დავალიანებაზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადი

დასახელება	31.12.2024	31.12.2023
კლინიკის თანამშრომელთა დარიცხულ სახელფასო დავალიანებაზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადი	495,079	431,604

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები.

2014 წლის 18 ივნისს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებით №3/350306/24 --სესხის თანხა	ვალუტა	თანხა (ლარი)
1) სესხის თანხა	0	90,686.00

10. სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

დასახელება	31.12.2021	31.12.2020
სააქციო კაპიტალი	20,000	20,000

11. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი- (741,999) ლარი.

2024 წლის სამეურნეო წელი დასრულებულია ზარალით თანხით - (283,590) ლარი.

12. ნეტო ამონაგები

კლინიკის, სამედიცინო საქმიანობის შედეგად მიღებულმა შემოსავლებმა, სამედიცინო საქმიანობის მიხედვით, რაოდენობრივად განაპირობა შემდეგმა სამედიცინო მომსახურებებმა, მათ შორის:

	რაოდენობა
2024 წელს კლინიკა ღია გულში ჩატარებული სხვადასხვა გამოკვლევების რაოდენობა	
ექოკარდიოგრაფია	2475
ელექტროკარდიოგრაფია	1951
ლაბორატორიული გამოკვლევები - და სხვადასხვა დანიშნულების ანალიზები	6529
ექოსკოპიები და დოპლერები	752
ექიმთა კონსულტაციები	2829
ჰოლტერი	160
დატვირთვის ეკგ ტესტი	57
წნევის მონიტორინგი	30

აქედან გამომდინარე:

კლინიკის სამედიცინო საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავლებმა თანხობრივად, 2024 წლის განმავლობაში კვარტლების ჭრილში, ჯამურად შეადგინა 844,205.00 ლარი, მათ შორის:

თანხობრივი მაჩვენებელი 2024 წლის კვარტლების მიხედვით	თანხა (ლარი)
პირველი კვარტალი	226,186.00
მეორე კვარტალი	191,502.00
მესამე კვარტალი	195,489.00
მეოთხე კვარტალი	231,028.00
სულ 2024 წელს:-----	844,205.00

13. ცვეთა და ამორტიზაცია

დასახელება	2024 წ.	2022 წ.
ცვეთა და ამორტიზაცია	-107,227	130,994

14. იჯარის ხარჯი

სამედიცინო საქმიანობისათვის დაქირავებული შენობის ფართი

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
ფართის იჯარა	-14,160	-14,160

15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
კურსთა შორის სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
კურსთა შორის სხვაობა სავალუტო ოპერაციიდან	0	-142

16. მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
ზარალი	-283,590	-366,514

17. კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

დასახელება	2024 წ.	2023 წ.
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,005,589	-721,999

ბალანსის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით.

შპს „ღია გულის“

გენერალური დირექტორი



დ. ხაზარაძე